

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ შორის 2014 წლის 17 ივლისს ჰიდროელექტროსადგურ „ლოპოტაჰესი 1“-ის პროექტის განხორციელების თაობაზე დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

27 თებერვალი 2015 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ,

მეორეს მხრივ, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“) ს/კ: 404391975, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ბეჟუაშვილის მიერ,

და მესამეს მხრივ, შპს „ართანა ლოპოტა“ (ს/კ 406128220), წარმოდგენილი მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ბიძინა იმნაძის მინდობილი პირის ზვიადი ჯიშკარიანის მიერ,

მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას მთავრობასა და კომპანიას შორის 2014 წლის 17 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში წოდებული, როგორც „მემორანდუმი“) ცვლილებების შეტანის თაობაზე:

1. სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“-ს (ს/კ: 404391975) ნაცვლად მემორანდუმის მხარედ განისაზღვროს შპს „ართანა ლოპოტა“ (ს/კ 406128220). შესაბამისად სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ გადასცემს, ხოლო შპს „ართანა ლოპოტა“ კისრულობს სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“-ს მიერ მემორანდუმის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს და უფლებებს სრულად. მემორანდუმის დებულებებში ყველა მითითება „კომპანიაზე“ ამიერიდან გულისხმობს შპს „ართანა ლოპოტა“-ს.
2. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

5. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმომობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

6. მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“

გიორგი ბეჟუაშვილი

შპს „ართანა ლოპოტა“

ბიძინა იმნაძის მინდობილი პირი ზვიადი ჯიშკარიანი



6304
13 11 14
7

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010151459865314

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№9867

11 / ნოემბერი / 2014 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2014 წლის 4 ნოემბრის № 04/3994 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ შორის 2014 წლის 17 ივლისს გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.


პატივისცემით,

გ. დხიჭიფაანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფაანიძე

27/7



საქართველოს მთავრობის განკარგულება


№85 2015 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას და სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ შორის 2014 წლის 17 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ და შპს „ართანა ლოპოტა“-ს შორის დასადები შეთანხმების პროექტი 2014 წლის 17 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი დარიბაშვილი

მინდობილობა

მე, ზიძინა იზნაძე, (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე, პასპორტის #517651969, მცხოვრები მისამართზე: 54 Belsize Park Gardens, London NW3 4ND, United Kingdom), როგორც შპს „ართანა ლოპოტა“-ს (ს/კ 406128220) (შემდგომში „საზოგადოება“) დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში „მიმნდობი“)

უფლებამოსილებას ვანიჭებ -ზვიადი ჯიშკარიან -ს (საქართველოს მოქალაქე, პირადი #55001006385, მის: ქ. თბილისი, ზღვისუბანი, მე-4 მიკრ. კორპ 2, ბ. 141), (შემდგომში „მიმნდობილი“) რათა მან იმოქმედოს საზოგადოების სახელით და განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

1) მიმნდობილი უფლებამოსილია წარმოადგინოს მიმნდობი/საზოგადოება ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში (მათ შორის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი), ნოტარიუსთან, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან, ეროვნულ და კომერციულ ბანკებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში და აწარმოოს შესაბამისი საქმე, დაიცვას მიმნდობის ინტერესები, წარადგინოს, მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, საზოგადოების სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები და წერილობითი მიმოწერა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

2) წარმოადგინოს მიმნდობი საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში. მიმნდობის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით მიმნდობილი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მიმნდობის სახელით და საკუთარი ხელმოწერით შეიტანოს საჩივარი, განცხადება, სარჩელი, შესაგებელი ან/და შეგებებული სარჩელი სასამართლოში, გამოძიების მწარმოებელი ორგანოში ან სახელმწიფო დაწესებულებაში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოსა და გამოძიების მწარმოებელი თანამდებობის პირის წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, დაამთავროს საქმე მორიგებით, შეცვალოს სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, მოითხოვოს და მიიღოს სააღსრულებო ფურცელი და წარადგინოს აღსასრულებლად სააღსრულებო ბიუროში, მიიღოს მიკუთვნებული ქონება და ფული, გაასაჩივროს სასამართლოსა და გამოძიების მწარმოებელი თანამდებობის პირის ნებისმიერი აქტი, წარადგინოს კერძო, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი.

3) მიმნდობის/საზოგადოების სახელით შეიძინოს ან/და გაასხვისოს წილები, აქციები, უძრავ-მოძრავი ქონება, მომსახურება, გასცეს ან აიღოს სესხები, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ აუქციონებსა და ტენდერებში ან/და გააფორმოს ნებისმიერი სახის გარიგებანი, მათ შორის სანივთო უფლებების წარმოშობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები.



4) წარმოადგინოს მიმდობის/საზოგადოების ინტერესები ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, საზოგადოების სახელით გააფორმოს ნებისმიერი სახის საკრედიტო ხელშეკრულება, მართოს და განკარგოს საზოგადოების სახელზე გახსნილი ნებისმიერი სახის ანგარიში, შეასრულოს ნებისმიერი საბანკო-საფინანსო ოპერაცია (ფულადი თანხების შეტანის, გამოტანის, ჩარიცხვის, გადარიცხვის, კონვერტირების, განაღდების, ახალი ანგარიშის გახსნის, ანგარიშის დახურვის უფლებით და სხვ.), მიიღოს ამონაწერები ანგარიშებიდან, ნებისმიერი საბანკო ცნობა (მათ შორის დავალიანების არ არსებობის შესახებ) და ნებისმიერი სახის სხვა ინფორმაცია.

5) მიმდობის/საზოგადოების სახელით განახორციელოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს სარეგისტრაციო სამსახურში მიმდობის საკუთრების უფლების პირველად ან/და ცვლილებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოქმედებები, ნებისმიერი სახის გარიგების წარდგენა და შესაბამისი სამართლებრივი უფლებებისა და ვალდებულებების დარეგისტრირება, აგრეთვე ხარვეზის შესავსებად საჭირო დოკუმენტების წარდგენა.

6) მონაწილეობა მიიღოს და მიმდობის/საზოგადოების სახელით გამოხატოს ნება პარტნიორთა/აქციონერთა საერთო კრებებში. გამოთქვას მოსაზრებები, შენიშვნები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები დღის წესრიგით გათვალისწინებული ნებისმიერი საკითხის მიმართ. როგორც პარტნიორმა/აქციონერმა ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის დოკუმენტებს (ოქმი, წესდება და სხვ.).

7) უზრუნველყოს საზოგადოების პარტნიორის მიერ მიღებული ნებისმიერი სახის გადაწყვეტილებების აღსრულება, აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები ნებისმიერი მესამე პირის წინაშე (მათ შორის მინდობილობის პირველ მუხლში აღნიშნული პირების წინაშე), გააფორმოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება.

8) წარმოადგინოს მიმდობის/საზოგადოება შპს „საქართველოს ფოსტა“-სთან ურთიერთობაში, გააგზავნოს და ჩაიბაროს ნებისმიერი სახის საფოსტო გზავნილი.

9) საზოგადოების შიდა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის მიზნით გამოსცეს ნებისმიერი სახის ბრძანება.

10) ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის დოკუმენტს წინამდებარე მინდობილობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით.

11) წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება შეასრულოს პირადად.

არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მინდობილის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინდობილობით გათვალისწინებული დავალებების შესრულებისათვის.

მინდობილობა ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით.

მიმდობი

ბიბინა იმნაძე

ბიბინა იმნაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის
ნომერი

N141059510



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის
თარიღი

26.09.2014 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

მინდობილობაზე ხელმოწერის ნამდვილობის
დამოწმება

ნოტარიუსი

ნინო მათუაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2 38 36 32 591 70 99 74

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

34817906330914



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18


საქართველო
სანოტარო აქტი


დღეს, ორიათას თოთხმეტი წლის ოცდაექვს სექტემბერს მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10 მომართა: ბიძინა იმნაძემ (დაბ: 02.02.1967 წელს, საქართველოში, დიდი ბრიტანეთის მოქალაქის პასპორტი 517651969, გაც: 13.01.2014 წელს, მოქმედების ვადა 13.10.2024 წლამდე, გაცხადებული მისამართი: თბილისი, აბულაძის 31, ბინა 11) რომელმაც წარმოადგინა მინდობილობა და მოითხოვა ამ მინდობილობაზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე, შევამოწმე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე აგრეთვე დაეადგინე მისი ქმედუნარიანობა და დაერწმუნდი რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. ხელმოწერა პირს განეუმარტე, რომ მე ვადასტურებ მის ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ მინდობილობის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე. მხარემ განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი მისი სურვილითაა შედგენილი და რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. რის შემდგომაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წარმოდგენილ მინდობილობას. მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარძალოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მხარეს

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 507 დადგენილების (29.12.2011წ) 31-ე მუხლის თანახმად - თექვსმეტი ლარი - აგრეთვე დღე 2.88 ლარი - საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე + ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 200 ლარი დღე-ს ჩათვლით თანახმად საქართველოს მთავრობის 507 დადგენილების 39-ე მუხლის 13 თანახმად

ნოტარიუსი
ნინო მათუაშვილი





100401316201
721029114201
JISHKARTANI